



**სსიპ შოთა რუსთაველი ს
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი**

28 ივნისი 2024

ქ. თბილისი

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 101

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 30 აგვისტოს N179/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის, „ე“ ქვეპუნქტის „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ“ - სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2024 წლის 26 თებერვლის N11 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „ჟ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N767501, 28.06.2024) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსში შემოსული პროექტების რანჟირებული სიები ამ ბრძანების დანართი N1-ის და დანართი N2-ის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტები ამ ბრძანების დანართი N 3-ის შესაბამისად.

3. გამარჯვებული პროექტების ავტორებმა არაუგვიანეს 2024 წლის 20 ივლისის 18:00 საათისა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) კანცელარიაში უნდა წარმოადგინონ:

ა) წამყვანი და თანამონაწილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორგანიზაციის მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები – ამ პროექტისათვის გახსნილი ლარის საბანკო/სახაზინო ანგარიშის ნომერი, რომელზეც გამარჯვების შემთხვევაში ჩაირიცხება გრანტის თანხა და ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი;

ბ) ცნობა იმის შესახებ, რომ წამყვან და თანამონაწილე (ერთობლივი პროექტის შემთხვევაში) ორგანიზაციებს არ გააჩნია დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე;

გ) თანადაფინანსების ცნობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორიგინალი – თუ ცნობის ორიგინალი უცხოენოვანია, მას თან უნდა ერთვოდეს ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ.

4. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს გამარჯვებული პროექტების წარმდგენებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2024 წლის 31 ივლისისა.
5. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
6. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

თეიმურაზ დოჭვირი

თ. დოჭვირი

დამტკიცებულია სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს
 ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
 2024 წლის 28 ივნისის N---101--- ბრძანებით

2024 წლის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის I ლოტის რანჟირებული სია					
N	შიფრი	პროექტის სათაური	სამეცნიერო მიმართულება	წამყვანი ორგანიზაცია	ქულების ჯამი
1	OTG-I-24-292	აფხაზეთი საქართველოა (ისტორიულ-ნუმისმატიკური ნარატივი)	ჰუმანიტარული მეცნიერებები	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	14
2	OTG-I-24-160	დალის / კოდორის ხეობის ონომასტიკური მასალების კვლევა და დოკუმენტირება	ჰუმანიტარული მეცნიერებები	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	14
3	OTG-I-24-456	ცხინვალის რეგიონის ოკუპირებულ ტერიტორიებზე კლიმატის ელემენტების მონაცემთა ბაზების შედგენა და კლიმატის ცვლილებისგან გამოწვეული რისკების შეფასება თანამედროვე მეთოდების გამოყენებით	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	14
4	OTG-I-24-521	“აფხაზეთის ოკუპაციის დინამიური სისტემა და მისი მეტაკოგნიტიური მართვის შესაძლებლობები”	სოციალური მეცნიერებები	ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია	13
5	OTG-I-24-360	საქართველოში, ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე სუბტროპიკულ კულტურათა გავრცელება და ბიო-კომპოზიტების შემუშავების ტექნოლოგიური ასპექტები.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	13

6	OTG-I-24-477	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე თანამედროვე კლიმატური ცვლილებების შესწავლა E-OBS მონაცემების საფუძველზე.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	13
7	OTG-I-24-505	ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ისტორიული დემოგრაფია, ტოპონიმია და ინტერაქტიული რუკა (XIX-XX სს.)	საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	13
8	OTG-I-24-617	ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთი (აფხაზეთი) ანტიკურ ხანაში	საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	13
9	OTG-I-24-951	კონფლიქტების მშვიდობიანი ტრანსფორმაცია - დაზარალებულ ადგილნაცვალ პირთა საცხოვრებელ გარემოში დაბრუნების და კონტრ-სივრცეების მიმართ დამოკიდებულებები.	საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	12
10	OTG-I-24-332	1992 წელს აფხაზეთში შექმნილი პოლიტიკური ვითარებისა და საომარი მოქმედებების პროვოცირების თვისობრივი ანალიზი	ჰუმანიტარული მეცნიერებები	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	12
11	OTG-I-24-140	ოკუპირებულ და მის მიმდებარე ტერიტორიებზე საგანგებო მდგომარეობის პირობებში დროებითი თავშესაფრების განთავსებისა და მოსახლეობის ევაკუაციის დაგეგმვის მოდელირება	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	12
12	OTG-I-24-189	CYP2A6*1 და CYP2A6*4 გენების პოლიმორფიზმის განსაზღვრა აფხაზეთის პოპულაციის ჯანმრთელ (მწველები და არამწველები) და ფილტვის კიბოთი დაავადებულ ინდივიდებში.	სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებები	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	12

13	OTG-I-24-374	ანტიქართული ტენდენციების ფორმირება თანამედროვე აფხაზეთში	ჰუმანიტარული მეცნიერებები	ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი	12
14	OTG-I-24-651	აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ვაზის ენდემური ჯიშების მოძიება-კონსერვაცია	აგრარული მეცნიერებები	სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	12
15	OTG-I-24-307	ოკუპირებული ახალგორის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების პერსპექტივების კვლევა	სოციალური მეცნიერებები	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	12
16	OTG-I-24-810	რუსეთ-საქართველოს 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები	სოციალური მეცნიერებები	ევროპის უნივერსიტეტის სამართლის ინსტიტუტი	12
17	OTG-I-24-567	ჩატბოტი აფხაზური ენისთვის	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	12
18	OTG-I-24-077	ქართულ-ოსური პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობები XX საუკუნის 20-იან 80-იან წლებში ქალაქ ცხინვალის მაგალითზე	საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები	სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი	12
19	OTG-I-24-1135	გალის რაიონის მეტყველების ნიმუშები	ჰუმანიტარული მეცნიერებები	საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	11
20	OTG-I-24-062	პოლიტიკური კულტურა აფხაზეთში - ისტორია, თანამედროვეობა და რეინტეგრაციის პერსპექტივები	საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	11

21	OTG-I-24-381	XX საუკუნის ქართულ-აფხაზური ურთიერთობების საკვანძო საკითხები ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში	სოციალური მეცნიერებები	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	11
22	OTG-I-24-329	შიდა ქართლის ოკუპირებული ტერიტორიის ისტორიული რეპრეზენტაცია (ფრონეს ხეობა)	საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები	სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი	11
23	OTG-I-24-220	ოკუპირებულ ტერიტორიაზე (აფხაზეთი) არსებული ზოგიერთი მნიშვნელოვანი ქართული კულტურული ძეგლის თანამედროვე მდგომარეობის შეფასება-დადგენა აფხაზი სტუდენტებისა და ქართველი მკვლევარების ერთობლივი მონაწილეობით	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	10
24	OTG-I-24-061	მზის აქტივობის გავლენა დედამიწის მაგნიტურ ველსა და კლიმატზე, შედარებითი ანალიზი	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	10
25	OTG-I-24-1098	ცხინვალის რეგიონი (შიდა ქართლის მთიანეთი) - კვლევა რამდენიმე ასპექტით (საკითხის კომპლექსური კვლევა და ანალიზი)	საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები	კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი	10
26	OTG-I-24-409	შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტების რეგულირების მოდელების შემუშავება	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	10
27	OTG-I-24-105	ოკუპირებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკოლოგიური მდგომარეობის შესწავლა და საყოფაცხოვრებო პლასტმასების ნარჩენების ბაზაზე ახალი კომპოზიციური მასალების მიღება	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	10

დამტკიცებულია სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს
 ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
 2024 წლის 28 ივნისის N-----¹⁰¹ ბრძანებით

2024 წლის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის II ლოტის რანჟირებული სია (სეზონური სკოლა)					
N	შიფრი	პროექტის სათაური	სამეცნიერო მიმართულება	წამყვანი ორგანიზაცია	ქულების ჯამი
1	OTG-II-24-191	მე-4 საერთაშორისო საგაზაფხულო სკოლა „აფხაზეთი: უძველესი დროიდან დღემდე (ისტორიულ-კულტუროლოგიური ასპექტები)“	ჰუმანიტარული მეცნიერებები	კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი	44
2	OTG-II-24-088	I საერთაშორისო საზაფხულო სკოლა „STEM თანამედროვე სამყაროში და ხელოვნური ინტელექტით დანახული მომავალი“	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	41

2024 წლის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის II ლოტის რანჟირებული სია (კონფერენცია, სიმპოზიუმი)					
N	შიფრი	პროექტის სათაური	სამეცნიერო მიმართულება	წამყვანი ორგანიზაცია	ქულების ჯამი
1	OTG-II-24-055	X საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები	ჰუმანიტარული მეცნიერებები	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	43
2	OTG-II-24-140	სიმპოზიუმი მშვიდობის გზა: ინოვაციები და ტექნოლოგიები	ჰუმანიტარული მეცნიერებები	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	36

		კონფლიქტების ტრანსფორმაციაში			
3	OTG-II-24-202	სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გავლენა ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობის რეინტეგრაციის პროცესზე	სოციალური მეცნიერებები	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	36

დამტკიცებულია სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს
 ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
 2024 წლის 28 ივნისის N-101 ბრძანებით

2024 წლის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის I ლოტის გამარჯვებული პროექტები			
N	შიფრი	პროექტის სათაური	წამყვანი ორგანიზაცია
1	OTG-I-24-292	აფხაზეთი საქართველოა (ისტორიულ- ნუმიზმატიკური ნარატივი)	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2	OTG-I-24-160	დალის / კოდორის ხეობის ონომასტიკური მასალების კვლევა და დოკუმენტირება	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
3	OTG-I-24-456	ცხინვალის რეგიონის ოკუპირებულ ტერიტორიებზე კლიმატის ელემენტების მონაცემთა ბაზების შედგენა და კლიმატის ცვლილებისგან გამოწვეული რისკების შეფასება თანამედროვე მეთოდების გამოყენებით	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2024 წლის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის II ლოტის გამარჯვებული პროექტი			
N	შიფრი	პროექტის სათაური	წამყვანი ორგანიზაცია
1	OTG-II-24-191	მე-4 საერთაშორისო საგაზაფხულო სკოლა „აფხაზეთი: უძველესი დროიდან დღემდე (ისტორიულ-კულტუროლოგიური ასპექტები)“	კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი